აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, კულტურის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს:

ა) კულტურის სფეროს მართვას;

ბ) კულტურის ინფრასტრუქტურის შექმნასა და რეაბილიტაციის ხელშეწყობას;

გ) კულტურის სფეროში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდასა და ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესებას;

დ) კულტურის დაწესებულებების ოპტიმალურ ინსტიტუციურ მოწყობას და მართვას;

ე) კულტურის სფეროში დამტკიცებული პროგრამების მართვას, განხორციელებასა და კონტროლს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) კულტურის სფეროში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას;

ზ) თავისი საქმიანობის სფეროში საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების აღსრულებას;

თ) სამინისტროს პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმების განვითარებას;

ი) კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.

დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო:

ა) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს/კოორდინაციას მის სისტემაში შემავალ სახელოვნებო და სააღმზრდელო დაწესებულებებზე;

ბ) გამოითხოვს მასალებს ან/და ადგილზე შეისწავლის სამინისტროს სისტემაში შემავალ სააღმზრდელო და სახელოვნებო დაწესებულებებში კანონმდებლობის ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესრულებას;

გ) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს, ასევე მთავრობის წინაშე დასვას იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით იბარებს სახელოვნებო დაწესებულებების მიერ გასული წლის საქმიანობის ანგარიშს;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმნის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. ითანხმებს აღნიშნული დაწესებულებების საშტატო განრიგს, სახელფასო ფონდსა და ბიუჯეტს;
ვ) მონაწილეობს კულტურის სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების, სიმპოზიუმების, გამოფენების, საკონცერტო ჩვენებების, სახალხო დღესასწაულების, მასობრივი და სხვა სახის ღონისძიებების გამართვაში;
ზ) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებ-ლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სამინისტროს სისტემა მოიცავს:

ა) ცენტრალურ აპარატს, რომლის შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
ა.ა) კულტურის დეპარტამენტი;
ა.ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
ა.გ) საფინანსო-საბუღალტრო-შესყიდვების დეპარტამენტი;
ა.დ) იურიდიული დეპარტამენტი;
ა.ე) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა სახელმწიფო კონტროლს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტრო;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომლის საქმიანობის ზედამხედველობასა და კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო.